

600 /
1962/2

საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აკადემია




**გეოგრაფიკა
და ბუნება**

№ 2 თებერვალი 1962

კომუნისტი

საქართველოს
შემაგნიტოვების
სამსახური




სსრ კავშირის განვითარების განვითარება
1960-1980 წწ.

20 წლის მანძილზე შავი მეტალურგია
ისტორიულად მიაღწევს, რომ საშუალება
ვაქვს გავაუმჯობესოთ წარმოება და
ხელახლა 250 მილიონი ტონა ფოლადი.
ფოლადის წარმოება მთლიანად უნდა
დაკმაყოფილოს საბაზო მეთრეობის
შეზღუდული მოთხოვნები იმ დროისათ-
ვის მიღწეული ტექნიკური პროგრესის
ფონის შესაბამისად.

(სკვპ პროგრამიდან)

ფოლადის კაპიტალიზაცია



ს ა ქ ა რ თ ე ლ ო ს ს ს რ მ ე ც ნ ი ე რ ბ ა თ ა ა კ ა დ ე მ ი ი ს ო რ გ ა ნ ო

კომუნიზმის სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემები

ჰიდროენერგეტიკის განვითარების ჰერსპექტივები საქართველოში

პ. შანგალია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ენერგეტიკის შემდგომ განვითარებას, კერძოდ ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის განვითარების საკითხებს.

„პარტიისა და საბჭოთა ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანა ის არის, — ნათქვამია პროგრამაში, — რომ ორი ათწლეულის მანძილზე შექმნან კო მ უ ნ ი ზ მ ი ს მ ა ტ რ ი ა ლ უ რ ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი ბ ა ზ ა. ეს ნიშნავს: ჩვენს ქვეყნის სრულ ელექტროფიკაციას და ამ საფუძველზე ტექნიკის, ტექნოლოგიისა და საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის სრულყოფას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში“.

პარტიის ახალ პროგრამაში ელექტროფიკაცია წარმოდგენილია, როგორც კომუნისტური საზოგადოების ეკონომიკის მშენებლობის ღერძი, რომელიც „წამყვან როლს ასრულებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში, მთელი თანამედროვე ტექნიკური პროგრესის განხორციელებაში“.

პროგრამა ითვალისწინებს უახლოესი ათწლეულის მანძილზე შრომის ელექტროაღჭურვილობის თითქმის 3-ჯერ გაზრდას, „იაფი ელექტროენერგიის ბაზაზე ფართოდ განვითარდეს ელექტროტექნიკური წარმოება; განხორციელდეს ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ყოფაცხოვრების მასობრივი ელექტროფიკაცია“.

პროგრამა ითვალისწინებს მეორე ათწლეულში, ე. ი. 1970-1980 წწ., ჩვენს ქვეყნის ელექტროფიკაციის ძირითადი დამთავრებას.

შუნებრივია, ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს ენერგეტიკული ბაზის მნიშვნელოვნად განვითარებას. სახელდობრ, საჭირო იქნება ელექტროენერგიის

წლიური წარმოების ჰირველი ათწლეულის დამლევისათვის დაახლოებით 900-1000 მლრდ-მდე, ხოლო მეორე ათწლეულის დამლევისათვის 2700-3000 მლრდ კვტს-მდე აყვანა.

ელექტროენერგიის წარმოების ასეთი მაღალი დონის მისაღწევად საჭირო იქნება აგებულ იქნეს მთელი რიგი ახალი მძლავრი ელექტროსადგურები, რამდენიმე ათასი კმ მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები, შეიქმნას საბჭოთა კავშირის ერთიანი ენერგეტიკული სისტემა. ეს სისტემა, ერთი მხრივ, ერთმანეთთან დააკავშირებს ჩვენს ქვეყნის აღმოსავლეთისა და დასავლეთის რაიონების ელექტროსადგურებსა და მომხმარებლებს, ხოლო, მეორე მხრივ, ის დაკავშირებული იქნება სხვა სოციალისტური ქვეყნების სისტემებთან.

იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ იმ მასშტაბებზე ენერგომშენებლობის დარგში, რომლებიც გათვალისწინებულია ოცი წლის მანძილზე, შეიძლება აღინიშნოს, რომ გასულ წელს საბჭოთა კავშირის ყველა ელექტროსადგურმა დაახლოებით 330 მლრდ კვტს ენერგია გამოიმუშავა. მაშასადამე, პროგრამით გათვალისწინებული დონის მისაღწევად საჭირო იქნება 20 წლის მანძილზე ელექტროენერგიის წარმოების დაახლოებით 10-ჯერ გაზრდა.

შეიძლება ასეთი შედარება; მოვიყვანოთ. 1960 წელს ჩვენს ჰიდროენერგულ ყველა მოქმედმა ელექტროსადგურმა დაახლოებით 2000 მლრდ კვტს ენერგია გამოიმუშავა. მაშასადამე, 20 წლის ბოლოსათვის მართა საბჭოთა კავშირის ყველა ელექტროსადგურმა უნდა გამოიმუშაოს დედამიწაზე ამჟამად არსებულ ელექტროსადგურებზე დაახლოებით 1,5-ჯერ მეტი ელექტროენერგია.

გათვალისწინებულია, ოცწლეულის მანძილზე აგე-

8792

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ბულ იქნეს 180 მძლავრი ჰიდროელექტროსადგური და 460-მდე მძლავრი თბოელექტროსადგური და თბოელექტროცენტრალი. მათ შორის 200 რაიონულ თბოელექტროსადგურს ექნება არანაკლებ 3 მლნ კვტ სიმძლავრე თითოეულს.

მკვეთრად გაიზარდება ამ პერიოდში მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე საქართველოშიც. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩატარება გათვალისწინებულია ოცი წლის მანძილზე ენერგომშენებლობის დარგში. აქაც, ჩვენი აზრით მთელი რიგი ახალი მძლავრი ელექტროსადგური, ახალი ვადამცემი ხაზები, გაფართოვდება მისი კავშირი მეზობელ ენერგოსისტემებთან.

როგორც ცნობილია, საქართველოში ამჟამად მშენებლობაში ორი ჰიდროელექტროსადგური — ხრამის მეორე საფეხური და ენგურის მძლავრი ჰიდროელექტროსადგური. ერთდროულად ქ. რუსთავთან შენდება მძლავრი თბოელექტროსადგური, რომელიც ძირითადად ზებრაიჯანიდან მოწოდებულ ბუნებრივ აირზე, ხოლო ამ აირის სიმკირის, უმთავრესად ზამთარის, პერიოდში — თხევად სათბობზე, ნავთობებზე იმუშავებს. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივების შედგენის დროს ენერგომშენებლობის განვითარების საკითხის დეტალურად შესწავლამ ცხადყო, რომ ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა წარსულში, მომავალშიც რესპუბლიკის ელექტრობალანსში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამოიმუშავებულ ენერგიას დაეთმობა.

ეს ადგილი გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ შემდეგ გარემოებებს.

ქვანახშირის მარაგი რესპუბლიკაში შედარებით მცირეა და ის უმთავრესად ჩატარების სათვის გამოიყენება. გარდა ამისა, ქვანახშირის მაღალი ღირებულება მიზანშეუწონლად ხდის ელექტროენერგიის მისაღებად მისი დიდი როდენობით დაწვას.

ეკონომიურად შედარებით უფრო მისაღებად წარმოგვიდგება ბუნებრივი აირის გამოყენება ელექტროსადგურებში, მაგრამ აქაც მხედველობაში მისაღება ის, რომ ამ აირის რაოდენობა განუსაზღვრელი არ არის. ასეთ პირობებში კი ბუნებრივ აირზე მომუშავე ელექტროსადგურის მიერ გამოიმუშავებული ენერგიის თვითღირებულების განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა აირის ფაქტობრივი თვითღირებულება, არამედ ის ეკონომიური ეფექტი, რომელიც ბუნებრივ აირს შეუძლია მოგვეცეს მისი სახალხო მეურნეობის სხვა დარგში გამოყენებით. სხვათადასა რომ ვთქვათ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმ მასალის თვითღირებულება, რომელსაც შეიძლება აირის შეიცლა სახალხო მეურნეობის სხვა დარგში, მაგალითად, ქიმიურ მრეწველობაში, გამოყენების დროს.

თუ აირის დაზოგვის შეუძლია ქვანახშირის დაწვის შემცირება, მაშინ ელექტროენერგიის თვითღირებულება

ბის განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა აირის, არამედ ქვანახშირის ფაქტობრივი ღირებულება. ეს დებულება ნათელი გახდება შემდგომში მაგალითიდან. როგორც ცნობილია, ამჟამად მოქმედებაშია ყარაღალ-თბილისის აირსადენი, მაგრამ საქართველოში აირის სათანადო რაოდენობით და შეუფერხებლად მოწოდების მიზნით შენდება მეორე აირსადენი — თბილისი-ოპოზონიკიძე. ეს აირსადენი თბილისს დააკავშირებს ჩრდილო კავკასიის აირის მძლავრ საბადოებთან. აღსანიშნავია, რომ ამ საბადოს აირის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩრდილოეთის მიმართულებით გადაიცემა.

ამ შემთხვევაში, თუ საქართველოში აირის მოწოდება გამოიწვევს ღონეცის აუზში ქვანახშირის ამოღების გაძლიერებას ჩრდილოეთ რაიონებში აირის დანაკლისის შესასვებად, ბუნებრივია, რომ საქართველოში იმ თბოელექტროსადგურების ელექტროენერგიის თვითღირებულების განსაზღვრის დროს, რომლებიც ამ აირზე იმუშავებს, უნდა გამოვიყენოთ ღონეცის აუზის ქვანახშირის თვითღირებულებიდან.

ცხადია, რომ ასეთი ენერგიის თვითღირებულება მეტი იქნება წყლის ენერგიის თვითღირებულებაზე.

უკანასკნელ დროს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში დიდი ყურადღება ეთმობა ატომური ელექტროსადგურების მშენებლობას. ამიტომ ბუნებრივად ისმის საკითხი ამ ტიპის ელექტროსადგურების როლის შესახებ მომავალ ენერგომშენებლობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცოტა ხნის წინათ პრაქტიკულად იდგა საკითხი ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის შესახებ ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოშიც.

ატომის ენერგიის გამოყენება თავისთავად მეცნიერებისა და ტექნიკის ერთ-ერთ უდიდეს მიღწევას წარმოადგენს და მას უდაოდ განვითარების უდიდესი პერსპექტივები აქვს. მას ახლაც შეუძლია შესარჩევის და ასრულების კიდევ გარკვეულ რაოდენობის ისეთი ქვეყნების ენერგეტიკაში, როგორიცაა ინგლისი, რომელსაც გამოუყენებელი წყლის ენერგიის რესურსები თითქმის არ აქვს, ხოლო ქვანახშირის მარაგი უკვე უთავდება და იძლევა საწყევლ სხვა ქვეყნებთან შემოსილად. ასეთ განსაკუთრებულ პირობებში საჭირო ხდება სპეციალური ღონისძიების ჩატარება ქვეყნის ელექტროენერგიათი მოსამარაგებლად. ერთ-ერთ ასეთი ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს ატომური ელექტროსადგურების აგება.

რაც შეეხება ისეთ ქვეყნებს, სადაც მოიპოვება ენერგიის სხვა იაფი წყაროები, განსაკუთრებით წყლის იაფი ენერგია, რა თქმა უნდა, ატომურ ელექტროსადგურებს მანამ, სანამ მათი ტექნიკური და ეკონომიური მაჩვენებლები მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესდება, ფართო გავრცელება არ ექნება. 1960 წელს მადრიდში ჩატარებულ საერთაშორისო ენერგეტიკულ კონფერენციამ აღნიშნული იყო, რომ რიგმა სახელმწიფოებმა შეამცირა თავისი

ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის გეგმა. კონფერენცია აღნიშნავდა იმასაც, რომ ატომურ ელექტროსადგურებს სერიოზული მეტოქეობის გაწევა შეეძლო. ამ ელექტროსადგურებთან, რომლებიც ენერგიის ჩვეულებრივ წყაროებს იყენებს, დაახლოებით 1970 წლიდან. ისეთი ქვეყნებისათვის კი, რომლებსაც იაფი წყლის ენერგია მოუპოვებათ, ეს ვალა კიდევ უფრო გააჩქარდება.

საბჭოთა კავშირში დიდი კვლევითი მუშაობა წარმოებს ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენებისათვის. კერძოდ, დიდი ყურადღება ეთმობა ატომური ელექტროსადგურების ტექნიკური და ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებას. როგორც ცნობილია, ჩვენში შეიქმნა და მშენებლობაშია რიგი ძმალური ატომური სადგურები. მართალია, ეს ელექტროსადგურები ელექტროენერგიის გარკვეულ რაოდენობას მისცემს ჩვენს სახალხო მეურნეობას, მაგრამ ძირითადად ისინი ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებენ. ექსპლუატაციის შედეგად გამოვლინებული იქნება მათი სხვადასხვა ელემენტების საუკეთესო ტიპები, კერძოდ შერჩეული იქნება რეაქტორის ოპტიმალური ტიპი, რომელიც შემდგომში გამოყენებული იქნება ატომური ელექტროსადგურების მასშტაბურ მშენებლობის დროს. რაც შეეხება საქართველოს პირობებს, სადაც დიდი რაოდენობით მოიპოვება იაფი წყლის ენერგია, აქ ატომური ელექტროსადგურების მშენებლობაზე ლაბარაკი გერჯერობით მეტად ნაადრევია. ყოველ შემთხვევაში ოცწლიანი წყლის ენერგია ელექტროენერგიის ძირითად წყაროდ წყლის ენერგია დარჩება.

პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების აგებას ენერგულ (გარდა ამჟამად მშენებლობაში მყოფი ენგურპესისა), ზოფზე, კოდორზე, რიონზე, ტხენისწყალზე, არაგვზე და სხვა მდინარეებზე. ეს, რა თქმა უნდა, სრულებით არ გამოირჩევა საქართველოში თბოელექტროსადგურების მშენებლობას. პირიქით, როგორც ეკონომიური, ისე ენერგეტიკული მოსაზრებანი მოითხოვენ, რომ ჰიდროელექტროსადგურებთან ერთად აგებულ იქნეს თბოელექტროსადგურებიც. როგორც აღნიშნული იყო, ამჟამად მშენებლობაშია ერთი მძლავრი თბოელექტროსადგური რუსეთთან. ოცწლიანი პერსპექტივა ითვალისწინებს შემდგომში როგორც ამ ელექტროსადგურის გაფართოებას, ისე სხვა თბოელექტროსადგურების მშენებლობასაც.

ჰიდრო- და თბოელექტროსადგურების რიცხვების ან მათი სიმძლავრეების შეფარდება დამოკიდებული იქნება მათი ეფექტურობის მაჩვენებლების შემდგომ გაუმჯობესებაზე. როგორც ცნობილია, ამ ბოლო დროს თბოელექტროსადგურების მაღალ პარამეტრებზე (ორთქლის დიდი დაწნევა, მაღალი ტემპერატურა) ვადსკლისა და სხვა ტექნიკურ გაუმჯობესებათა გამოყენების შედეგად

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მათი ეკონომიური მაჩვენებლები.

მაგრამ მნიშვნელოვანი ცვლილება მაღალ-ტემპერატურის დარგშიც, განსაკუთრებით მთის მდინარეების ჰიდროენერგეტიკის დარგში, რამაც საშუალება მოგვცა მკვეთრად გავვედიდებოდა ჰიდროენერგომშენებლობის ეფექტურობა. აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მაღალი, შემსუბუქებული ტიპების, კაშხლების ტექნიკის პროგრესი. ამჟამად რიგ ქვეყნებში მთის მდინარეებზე აგებული კაშხლების სიმაღლე 250-285 მ-ს აღწევს, ენგურპესის 300-მეტრიანი კაშხალი კი უმაღლესი იქნება მსოფლიოში.

მაღალი კაშხლების გამოყენება ძირეულად ცვლის მთის მდინარეების გამოყენების პირობებს. იგი საშუალებას იძლევა შეიქმნას დიდი წყალსაცავები მდინარის სეზონური ხარკის მოსაწყისრეგულად, რაც ერთდროულად გაუმჯობესებს მის ქვეით მდინარეზე ვანლაგებული ჰიდროელსადგურების კასკადის ენერგოეკონომიურ მაჩვენებლებს.

უკანასკნელ წლებში ამ მხრივ ჩატარებული კვლევებისა და პროექტების შედეგის შედეგად დადგენილია, რომ, თუ ფართოდ გამოვიყენებთ ჰიდროენერგომშენებლობის თანამედროვე საშუალებებს, შეიძლება მკვეთრად შევამციროთ ჰიდროელსადგურების ღირებულება და მშენებლობის ვადები. ჰიდროენერგომშენებლობის ეფექტურობის საქართველოს საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებს შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს.

ასეთია ჩვენში წყლის ენერგიის გამოყენების ეკონომიურობის მაჩვენებლები. რაც შეეხება წყლის ენერგიის რესურსებს, ის საკმარისია იმისათვის, რომ ზუთწლიების მანძილზე რეაქსიოფორის ჩვენი რესპუბლიკის მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე, ხოლო გარკვეული ნაწილი ამ ენერგიისა გადაცემულ იქნეს მეზობელ რესპუბლიკებში.

ამჟამად მეტად ხელსაყრელი პირობები იქმნება ამ ენერგიის გადასაცემად. როგორც ცნობილია, უკვე გაერთიანებული ამერიკეკავსიის ენერგოსისტემები და ახლო მომავალში ის შეუერთდება ჩრდილოატლანტის ენერგოსისტემას. ახლო მომავალში გაერთიანებული ენერგოსისტემის ძირითადი მაგისტრალები გადაყვანილი იქნება 500 კილოვოლტიან ძაბვაზე. ეს კიდევ უფრო გააძლიერებს ერთი რაიონიდან მეორეში ენერგიის დიდი რაოდენობით გადაცემის შესაძლებლობებს.

ამერიკეკავსიის ერთ მილიონ ეკონომიურ რაიონად განხილვისას საწარმოო ძალების ეფექტურად განვითარების თვალსაზრისით ერთ-ერთი ძირითადი ამოცანას წარმოადგენს წყლის ენერგიის რაციონალურად განაწილება პირველ რიგში — ამერიკეკავსიის რესპუბლიკის შორის.

ცნობილია, რომ წყლის ენერგია თანაბრად არაა განაწილებული ამ სამი რესპუბლიკის ტერიტორიებს შორის.



რის. ენერგიის მთელი მარაგის დაახლოებით სამი მეოთხედი საქართველოს ტერიტორიაზე მოდის. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ბუნებრივი პირობები — ატმოსფერული ნალექების სიუხვე და დიდი ვარდნა მოკლე მანძილზე — მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნის დასავლეთ საქართველოს მძლავრი მდინარეების გამოსაყენებლად. საკითხის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ამ მდინარეებზე აგებულ ჰიდროელასადგურებს გაცელებით უკეთესი ენერგოეკონომიური მაჩვენებლები ექნება, ვიდრე იმ ჰიდროელექტროსადგურებს, რომლებიც ამიერკავკასიის სხვა მდინარეებზე იქნება აგებული. ამიტომ ბუნებრივია, რომ საერთო სახალხო-სამეურნეო თვალსაზრისით პირველ რიგში უნდა აიგოს ის ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც ყველაზე იაფ ელექტროენერგიას მიაწვდის ამიერკავკასიის ტერიტორიაზე განლაგებულ მომხმარებლებს. ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხი საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს.

საქართველოდან ელექტროენერგიის ექსპორტი სხვაგვარად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. თუ იაფ ელექტროენერგიას გამოვიყენებთ ისეთ საექსპორტო სამრეწველო პროდუქციის გადასამუშავებლად, რომელიც ბევრ ელექტროენერგიას მოითხოვს, მაშინ ამ პროდუქციისთან ერთად ექსპორტირებული იქნება ელექტროენერგიაც. ასე, მაგალითად, აშშ-მად საქართველოდან დიდი რაოდენობით იზიდება ქაითარის მანგანუმის გადამამუშავებელი მადანი. ამ მადანს თან ახლავს დიდი რაოდენობით ფუჭი ქანიც, რაც იწვევს ტრანსპორტის გადატვირთვას, ზედმეტ ხარჯებს. თუ ეს მადანი გადამამუშავდება ადგილობრივად იაფი ენერგიის ბაზაზე და შემდეგ ნახევარფაბრიკატის სახით იქნება გატანილი რუსეთში, მაშინ მანგანუმთან ერთად ექსპორტირებული იქნება ჩვენი იაფი წყლის ენერგია.

ეს საკითხი, რომელიც კარგა ხანია წამოყენებულია, აშშ-მად დეტალურად შეისწავლება. წინასწარი ანგარიშები გვიჩვენებს, რომ ეს ღონისძიება დიდ ეკონომიურ ეფექტს მისცემს ჩვენს სახალხო მეურნეობას, ეს იმაზე-დაც მითითებს, რომ საქართველოდან, სადაც წყლის იაფი ენერგიის მძლავრი წყაროა, არც ერთი ტონა ქაითურის მადანი არ უნდა იქნეს გატანილი გადამამუშავებლად.

წყლის ენერგიის ფართოდ გამოყენებას მრეწველობის სხვა დარგებთან შედარებით ის უპირატესობაც აქვს, რომ არ მოითხოვს ბევრ მუშახელს. თანამედროვე ატომ-მატიზაციის ტექნიკა საშუალებას იძლევა ერთდროულად დავიყვანოთ მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის საექსპლუატაციო პერსონალის რიცხვი. რაც შეეხება მუშახელს, რომელიც ჰიდროელასადგურის მშენებლობაზე მუშაობს, ის შეიძლება მოძრავი იყოს. ერთხელ დაკომპლექტებული სპეციალისტებისა და კვალიფიციური მუშების კადრები ერთი მშენებლობის დამთავრების შემ-

დეგ მცირე ცვლილებით შეიძლება გადაყვანულ იქნეს შემდეგ მშენებლობაზე და ა. შ. ჰიდროენერგია ერთ დიდ უპირატესობას ისიც წარმოადგენს, რომ მისი წყარო მდებარეობს. კიდევ მეტიც, იმ დროს, როდესაც მანვანუმი, ქვანახშირისა და სხვა წიაღისეულის მარაგი შესაბამისი მრეწველობის განვითარებასთან ერთად თანდათანობით მცირდება და ბოლოს მთლიანად ამოიწურება, წყლის ენერგიის გამოყენების განვითარება იწვევს ენერგიის ხარისხობრივ გაუმჯობესებას და რაოდენობის ზრდასაც კი.

ასე, მაგალითად, ერთი და იმავე მდინარის თანდათანობით ათვისებისას ყოველი ახალი წყალსაცავიანი ჰიდროელექტროსადგურის აშენება იწვევს წყლის სეზონური ხარჯის მომსწირებას, რაც აღიღებს ზამთრის მცირე ხარჯებს, მომსწირებს, მდინარის ქვედა უბანზე განლაგებული ყველა ჰიდროელასადგურის მინიმალურ სიმძლავრეს და, ამრიგად, აუმჯობესებს ენერგიის ხარისხს. მეორე მხრივ, წყალდიდობის დროს წყლის დიდი რაოდენობა, რომელიც ჩვეულებრივად გამოიყენებლად მიედინებოდა მდინარეში, წყალსაცავის შექმნის შემდეგ გროვდება მასში და ეფექტურად გამოიყენება ჰიდროელასადგურების ასეაღზე, რაც იძლევა დამატებით ელექტროენერგიას, ისე რომ ეს არ მოითხოვს არაერთი დამატებითი ხარჯების გაწევას ამ ჰიდროელასადგურებზე.

ხშირად წყლის ენერგიის გამოყენებასთან ერთდროულად შესაძლებელი ხდება სახალხო მეურნეობის მთელი რიგი საკითხების (მორწყვა, წყალმომარაგება, წყალდიდობასთან ბრძოლა, მეთევზეობისა და წყლის მეფრინეულობის განვითარება და სხვ.) გადაწყვეტა. წყლის რესურსების კომპლექსურად გამოყენება კიდევ უფრო ამაღლებს ჰიდროელასადგურების ეფექტურობას, რადგან ამ შემთხვევაში მშენებლობაზე გაწეული ხარჯები ნაწილობრივ რაც წყლის მომხმარებელიც. ასე, მაგალითად, კომპლექსურიად გამოსაყენებელი წყალსაცავის შესაქმნელად გაწეული ხარჯები უნდა განაწილდეს როგორც ენერგეტიკაში, ისე სახალხო მეურნეობის იმ დარგებზე, რომლებსაც წყალსაცავი მოემსახურება.

წყლის რესურსების კომპლექსურად გამოყენების საკითხი ჭრჭერობით საფუძვლიანად შესწავლილი არ არის. აშშ-მად მთელ სამკუთხა კავშირში ამ მხრივ დიდი სამუშაოები ტარდება. რაც მოხდა იმახას შეიქმნას სამკუთხა კავშირის წყლის რესურსების რესურსურად გამოყენების ერთიანი გეგმა. დიდი სამუშაოები სრულდება ამ მიმართულებით საქართველოშიც. აქ საპროექტო ორგანიზაციებთან ერთად აქტიური მონაწილეობას იღებს რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. კიბოდ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის, გეოგრაფიისა და სხვა ინსტიტუტები.

შესწავლილი იქნება ყველა ცირად თუ ბევრად დიდი მდინარის აუზებში წყლის არსებული რესურსები და მასზე მოთხოვნილება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა

დარგების მიერ ოცნებული მანძილზე. შედეგად წყლის ბალანსი თითოეული მდინარის აუზში და დამუშავდება ლონისძიებები წყლის დეფიციტის შესამცირებლად წყალსაცავების შექმნით, წყლის ერთი აუზიდან მეორეში გადაადგილის გზით და სხვ.

ასეთი გეგმის დიდი მნიშვნელობა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ ის საშუალებას მოგვცემს გამოავლინოთ ეფექტური კომპლექსური ობიექტები, არამედ იმაშიც, რომ მასში მოცემული იქნება წყლის რესურსების გეგმადგენით ათვისების თანმიმდევრობაც. ეს თავიდან აგვაცილებს გამოუსწორებელი შეცდომების დაშვებას, რაც შეიძლება მოჰყვეს წყლის რესურსების უგეგმოდ გამოყენებას.

საქართველოში ჰიდროენერგეტიკის შემდგომ განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მაღალი კაშხალების მშენებლობის საქმის ათვისებას. ჩვენი რესპუბლიკის მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციები ამ მიმართულებით დიდ მუშაობას ეწევიან.

ჩვენმა სპეციალისტებმა წარმატებით განახორციელეს საბჭოთა კავშირში თავისი სიმძლით პირველი, ლაჩნურჰესის თაღოვანი კაშხალის მშენებლობა. ეჭვი არ არის, ასევე წარმატებით იქნება განხორციელებული ენგურის მსოფლიოში უდიდესი კაშხალის აგებაც და ამით მტკიცე საძირკველი ჩაეყრება ჩვენში მაღალი კაშხალების მშენებლობის საქმეს.

საქართველოს პირობებში წყლის ენერგეტიკული გამოყენების მნიშვნელობა მარტო ენერგეტიკული ბაზის განმტკიცებით როდესაც განისაზღვრება. ვინაიდან ჩვენი მდინარეების ადვილად მისადგომი უბნები ძირითადად უკვე ათვისებულია, ჩვენი მომავალი ჰიდროენერგომშენებლობა მეტწილად მდინარეების ღრმა, ძნელად მისასვლელ ხეობებში იწარმოებს. სადგურის მშენებლობა გამოიწვევს არსებული გზების რეკონსტრუქციას და ახალი გზების გაყვანას; ეს მოშორებული რაიონები დაუკავშირდება რკინიგზებს, მსხვილ დასახლებულ პუნქტებს. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ადგილზე აიგება აღმინისტრაციული სახლები, კლუბები, სკოლები, საავადმყოფოები. ენერგეტიკული ბაზის შექმნა ხელს შეუწყობს ადგილობრივი მრეწველობის წარმოშობას, რაიონის საწარმოო ძალების სწრაფ განვითარებას. შეიქმნება ხელსაყრელი პირობები ულამაზეს ხეობებში ფართო საკურორტო მშენებლობისათვის და სხვ.


ძნელია მოკლე სტატიაში მთლიანად დავახასიათოთ ყველა ის დადებითი შედეგი, რომლებიც თან ახლავს ჰიდროენერგომშენებლობას საქართველოში. ჩვენი ქვეყნის წყლის ენერგიის მდიდარი რესურსების ფართო გამოყენება დიდი სახალხო საქმეა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ისტორიული ყრილობის მიერ მიღებული პროგრამა ახალ, ფართო შესაძლებლობებს ჰქმნის ამ დიდი, სახელმწიფოებრივი ღონისძიების განსახორციელებლად.

გუზლოზერი D-535

ნახ-ზე თქვენ ხედავთ ახალ ბულდოზერს D-535-ს, რომელიც დამონტაჟებულია ტრაქტორს T-75-ზე. იგი დაპროექტეს და დამუშავდეს ხარკოვის საგზაო მანქანების ქარხანაში. ეს მანქანა განუთავსებელია მრავალი ოპერაციისათვის, მას შეუძლია მიწის მანძილზე გადაიტანოს გრუნტი, სხვადასხვა ფხვიერი მასალები, ამოავსოს ქვაბულები, აწმინდოს საშენი ნაგავი, მოასწოროს მოედნები.

ბულდოზერის არასაბარნი ფრთის რაციონალური პროფილის დახმარებით უზრუნ-



ველუფილია ენერგიის უფრო მეტი რაოდენობის ხარკი გრუნტის მოჭრისა და გადა-

ადგილების დროს. ფრთის ყველა მართვა წარმოებს ტრაქტორის უნიფიცირებული განკუთვნილი-აგრეგატული ჰიდრაულიკური სისტემის საშუალებით.

მცირე გრუნტის პირობებში მუშაობისათვის ბულდოზერის ფრთის ემაგრება საგრძელვადი. იგი მოდების განს 3.100 მმ-მდე აფართოებს. ტრაქტორი T-75, რომელსაც გააჩნია სიმძლავრის მარაგი და აჩქარებული უკუსვლა, შესაძლებლობას იძლევა გავადილო ბულდოზერს D-535-ის მწარმოებლობა D-144-თან შედარებით საგრძელვადი ფრთის გარეშე 25%-ით და საგრძელვადი მუშაობისას კი 55%-ით.

სახკოთა მეტალურგიის ხვალისდელი დღე

6. გომელაური

ტენიის მეცნიერებათა კანდიდატი, დამახიერებული ინჟინერი

თანამედროვე ცივილიზაცია წარმოდგენილია ჩარხების, მანქანების, ჰექსიზმების, სხვადასხვა აპარატების, სელსაყვების, იარაღების, ტრასპორტის, კავშირ-გაბმულობისა და სხვა საშუალებათა გარეშე, რომელთა წარმოებისათვის აუცილებელია ლითონი. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგონივრულ კვების თავდაცვისათვის. დღევანდელ ადამიანს ყოველდღიურ ცხოვრებაშიაც სჭირდება ლითონი. ამიტომ არის, რომ კვების ტექნიკური და ეკონომიური გასვითარების დონე იმითადად განისაზღვრება ლითონების წარმოებისა და მოხმარების რაოდენობით. ამით აისახება ის გავრცელება, რომ სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე პარტიის უძუ-ალე ყურადღების საგანი იყო და არის შავი მეტალურ-გიის გასვითარება.

საუკუნოების კომუნისტური პარტიის XXII ყრი-ლობის მთავარ მიზანშიც პროგრამაშიც ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დასაყუდა ლითონის წარმოების შემდგომი სწრაფი გადიდება. კერძოდ, პროგრამაში ხაზგასმითაა, რომ თანამედროვე მრეწველობის საფუძვლი — ლითონისა და სათაბოთის წარმოების შემდგომი სწრაფი გადიდება კვლავ დარჩება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახალხო-საეკონომიკო ამოცანად. ოცი წლის მანძილზე შავი მეტალურგია ისეთ დონეზე მიაღწევს, რომ საშუალება გვქმნება გამოვადოთ სეკონდარული დასახეობით ჰაზ მზო ტ ფოლადი. ფოლადის გაიადიობა მთლიანად უხდა დაკ-მაყოფილო სახალხო მეურნეობის მხარედი მოთხოვნი-ლებასი იმ დროისათვის მიღებული ტექნიკური პროგრე-სის შესაბამისად.

შავი ლითონების მრეწველობის განვითარება ჩვენს დროში წარმოადგენს უმთავრესად მეტალურგიული აგონ-გატების სიმძლავრეების საგრძნობი გაზრდის შიშართუ-ლებით. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ბრძმედების მარგი მოცულობა გაიზარდა თითქმის ერთიორად, იმავე დროში ფოლადისადაც აგრეგატების სიმძლავრე კი ორ-სახეჯერა. ამასთან ერთად უმთავრესად ტექნიკური-ური ამოცანის, ლითონისა და შეხანობების ხარისხი. თუქისა და ფოლადის წარმოებაში ეახებადისა და ბუნებ-რევი აირის გამოყენებად მკვეთრად ამაღლა სათანადო აგრეგატების მწარმოებლობა. ვითარდება ფოლადის გა-მოღობა კონვერტორებში ეახებადის გამოყენებით. მა-ლაზარისხეიანი ლითონების მისაღებად სულ უფრო ფართოდება ელექტროფოლადსადაც ლუმელების გა-მოყენება: მათი სიმძლავრე საგრძნობლად იზრდება.

თანამედროვე აგრეგატებიდან პროდუქციას უმე-გენ პერიოდულად: ბრძმედებიდან ყოველ 3 საათში, მარ-ტენის ლუმელებიდან — ყოველ 5-11 საათში, ზოლო ზო-გიერთი მეტალურგიული პროცესი უკვე მიმდინარეობს გახუწყვეტლად. ასეთებია ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმა (თუმცა ჯერ კიდევ მცირე ზომის აგრეგატებში) და უწყ-ვეტი გლინვა ზოგიერთ დანადგარზე.

მიმდინარე აბოლუმო მეტალურგიის განვითარება იწარმოებს ისეთ ტექნოლოგიურ პროცესების საფუძ-ველზე, რომლებიც მრავალი წლის პრაქტიკული დაკვირ-ვების შედეგად შეიქმნა, ან იმ პროცესების საფუძველზე, რომელთა შესწავლაც უკვე დამთავრებულია სამეცნიე-რო-კვლევით და საპროექტო ინსტიტუტებში. ამჟამად მეტალურგების წინაშე დგას უახლოესი ამოცანა — არ-სებული აგრეგატების გამსხვილება, სრულყოფა, ნაადუ-რის ტექნოლოგიისა და მძიმე პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვა მეტალურ-გიულ და დამხმარე სამეგროებში. ახალ, ტექნიკურად სრულყოფილ მეტალურგიულ საწარმოთა მშენებლობას-თან შეხებადული იქნება მოქმედი ქარხნების ეკონომი-რუქიცა, მათი მოწყობილობის განახლება და მოდერნი-ზაცია. ყველა ამ ღონისძიების განხორციელება შრომის ნაყოფიერებას გაზრდის 2-ჯერ და მეტად.

უკანასკნელ დროში მწყობრში ჩადგა ორი ათას კუ-ბური მ მოცულობის ბრძმედი, მომავალი ბრძმედების მოცულობა კი კიდევ უფრო გაიზრდება:

ბრძმედი უწყვეტი მოქმედების აგრეგატია. წყვეტი-ლად წარმოადგენს მხოლოდ მასში კაზმის ჩატვირთვა და დნობის პროდუქტების გამოშვება. ამჟამად მიმდინარე-ობს ცდები კარგად მომზადებული კაზმის ბრძმედების საკვარზე უწყვეტ ნაყადად მისაწოდებლად და ლუმელ-ში ჩასატვირთვად.


ჩვენს დროში ფოლადსადაც აგრეგატს ძირითა-დად წარმოადგენს მარტენის ლუმელი, რომელიც მუშო-ბის წყვეტილად. მეტალურგების საერთო აზრით, უახ-ლოეს მომავალში ფოლადსადაც აგრეგატად გადი-ცევა ძირითადად კონვერტორი, რომლის მწარმოებლობა მარტენთან შედარებით რამდენჯერმე მეტია, თუმცა ეს აგრეგატიც წყვეტილად მუშობს. რაც შეეხება საგლი-ნავ წარმოებას, ტენიის დღევანდელი მდგომარეობა საშუალებას იძლევა მოკლე დროში გამოყენებულ იქნეს უწყვეტი უსასრულო გლინვა. ასეთ საგლინავ სამეგროში

იმუშავეს უწყვეტად გამტარი მახურებელი ღუმელები. ლითონის გაწმენდა იწარმოებს ნაქალს. მთლიანად ავტომატიზებული იქნება საკონინავი დგანები, ადმინისტრაცი, სტრანსპორტი და დამსარე მოწყობილობა.

მეტალურგიულ ქარხანაში ამჟამად არსებული შიგა ტრანსპორტი, ნედლეულისა და ნახევარპროდუქტების გადასაზიდად შესაძლებლობას არ იძლევა განვითარებული გადაზიდვის კონვეიერული სისტემა და ამიტომ გაანერგულია ძისი ავტომატიზაცია. ამრიგად, უახლოეს ათწლეულში თანამედროვე მეტალურგიული ქარხნების გადაყვანა მთლიან ავტომატიზაციაზე და მათი გადამამუშავება ქარხანა-ავტომატებად დაკავშირებულია მთელ რიგ სიძნელეებთან. ამ „ეიწრო ადგილების“ ლკივდაციაზე გაცხოველებით მუშაობენ ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და საკონსტრუქტორო ორგანიზაციები უახლოეს ათწლეულში ძირითადად გადაწყვეტილი იქნება ცალკეული აგრეგატებისა და სამჭროების ტექნიკის, და ტექნოლოგიის სრულყოფა, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და სულ უფრო სრული ავტომატიზაცია. ასლი სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში და ზოგან კი უკვე მცირე სიმძლავრის საცდელ აგრეგატებში მუშავდება მადინადან რკინის უშუალო მიღების (აღდგენის) პრინციპულად ახალი ტექნოლოგიური პროცესი, რაც საშუალებას მისცემს მეტალურგებს ბრძმელები და ფოლადსაღნობი აგრეგატები შეცვალონ ერთი უწყვეტ ტექნოლოგიური პროცესით. ასევე ჯერ ვერ გასცდა კვლევით სამუშაოებს ქვანახშირის დაოქსივისა და მონიკაჰმის დამზადების უწყვეტი ტექნოლოგიური პროცესის შემუშავება. რაც შეეხება უწყვეტ ფოლადსაღნობი პროცესის დადგენას, იგი მხოლოდ მოკლე ხნის წინათ გასცდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კვლევის. ყველაზე უკეთესი მიღწევები ამ მართოლებით გვაქვს საგლინავ წარმოებაში.

ამ მართოლებით პირველ რიგში საჭიროა გადაწყვეტილი იქნეს ნედლეულისა და მასალების კონვეიერული მიწოდება უშუალოდ მეტალურგიულ აგრეგატებში. ამჟამად მუშავდება მეტალურგიაში ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა — თხევადი თუჩისა და ფოლადის ტრანსპორტირება ინდუქციური მილსადენის საშუალებით. საჭიროა შეიქმნას ავტომატიზებული მეტალურგიული და შიგა სტრანსპორტი მოწყობილობა. გადასაწყვეტია დარგში ცალკეული საკონინის გადამამუშავება და სხვა საკითხები, რომელთა გადაჭრა საჭირო იქნება მომავალი, მთლიანად ავტომატიზებული მეტალურგიული ქარხნების შექმნისათვის. ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დარგში ცალკეული საკონინის გადამამუშავებათან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება არსებულ მეტალურგიულ სამჭროებში ყველა მიღწევის სწრაფ დაწერვას, რაც დაჩქარებს არსებულ აგრეგატებისა და სამჭროების ავტომატიზაციას და ძირითადი ამოცანის — ქარხანა-ავტომატის შექმნის საკითხს.

უწყვეტი მოქმედების, მთლიანად ავტომატიზებული მეტალურგიული პროცესი, რომელიც მომავალში განხორციელდება იქნება მეტალურგიული ქარხანა-ავტომატის სახით, წარმოდგენილია, როგორც უწყვეტი მოქ-




რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. საბრძმელ სამჭროს სავალი ხედი

მედების აგრეგატების, აპარატების, მანქანებისა და სტრანსპორტი საშუალების ნაკადური ხაზი. ასეთი მთლიანად ავტომატიზებული, უწყვეტი ტექნოლოგიური პროცესით მოქმედ მეტალურგიული ქარხანა შეიქმნება მეორე ათწლეულის ბოლო წლებში. ეს იქნება ყველაზე სრულყოფილი ტექნიკურად ხელახლა ადრეტირებული, პრინციპულად ახალი მეტალურგიული პროცესების საფუძველზე შექმნილი ქარხანა-ავტომატი. ასეთ ქარხანაში არაჩვეულებრივად მაღალი იქნება შრომის ნაყოფიერება.

ამჟამად ნათელი წარმოსადგენია მომავალი მეტალურგიული ქარხნების საგლინავი წარმოების ნაკადური ტექნოლოგიური პროცესი. ახლო მომავალში საგლინავი სამჭროები დაკომპლექტებული იქნება მოწყობილობითა და აგრეგატებით, რომელთა მუშაობის დამახასიათებელი პრინციპები შემუშავებული და ჩამოყალიბებულია ჩვენი დროში. უახლოეს დროში საგლინავი გადამამუშავების საგლინო ზოდების, სლაბების, ბლუმებისა და ნახალების ცალკეული წონა. იმუშავენ მძლავრი მოჭიში დგანები და სლაბინგები. გლინის ნაკადურ ხაზში ჩართული იქნება ნავლინის ცეცხლთი გაწმენდა.

ნამზადის შემდეგი გაგლინვა-გადაკეთება იწარმოებს უწყვეტ სანამზადო დგანებზე, რომელთა გლინის სიჩქარე წამში 15 მ-მდე გაიზრდება, სორტულ უწყვეტ და მავთულსაგლინავი დგანების გლინის სიჩქარე კი წამში 35 მ იქნება. თხელი, ზოლანური და მცირე სისქის ფურცლების გაგლინვა იწარმოებს მძლავრ, უწყვეტ, ავტომატურ, მრავალგლიან დიდი სიჩქარის დგანებზე.



რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. ფოლადსაღობი
სამჭრო, მარტენის ლუმელიდან უშვებენ ფოლადს

მასობრივად იქნება დანერგული ისეთი პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები, როგორიცაა გლიხვალასა და წვრილსორტული ლითონის უწყვეტი გლიხვა, ფურცლოვანი ზოლებისაგან დამზადებული იქნება ფასონური პროფილები გორგოლაქიან-მღუნავ აგრეგატებზე, ცვლადი კვეთის პროფილების გაგლიხვა კი იწარმოებს განიხრახხულ დგანებზე. ფართოდ დინერგება მცირე ნახშირბადოვანი ფოლადების ნაგლისი თერმული დამუშავება მათი მექანიკური თვისების გადიდების მიზნით, ფურცლოვანი რკინის მოთხოვნიება და თუნუქის ელემტროლოტური მოკლე და გალკვა უწყვეტ აგრეგატებზე. მომავალში ყველაზე უფრო მაღალი მწარმოებლობა ექნება სულ ახალ საფუძველზე შექმნილ საგლიხვ სამჭრო-ავტომატებს. ეს მოხდება მაშინ, როდესაც გადაწყვეტილი იქნება მომჭიმვ საგლიხვ დგანებზე მთლიანი უწყვეტი ტექნოლოგიური პროცესის განხორციელების საკითხი. ახალი უწყვეტი მახტრებელი აგრეგატების შექმნის საფუძველზე გამოირცხული იქნება გლიხვის ტექნოლოგიური სქემიდან მომჭიმვი დგანები — ბლუ-

მინგები, სლაბინგები და სხვ. — თავისი მახტრებელი მუშაობით.

ასეთი საგლიხვი საწარმო-ავტომატის ტექნოლოგიური პროცესი წარმოგვიდგება შემდეგნაირად: კვადრატული ან სწორკუთხედიანი ნამზადი ფოლადსაღობი სამჭროს უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარიდან როლგანგების საშუალებით მიეწოდება უშუალოდ (ბლუმინგებისა და მაიურგბელი ჰეების გავრდის ახვევით) უწყვეტ საგლიხვ დგანებს. ასე შეიქმნება ფოლადსაღობი და საგლიხვი სამჭროების ერთობლივი ტექნოლოგიური ნაკადი.

ამგვარად, უსასრულო გლიხვის ხანგრძლიობა დამოკიდებული იქნება სამჭროს საჭირო მწარმოებლობასა და ფოლადსაღობი აგრეგატების უწყვეტი მუშაობის ხანგრძლიობაზე.

დიდი ყურადღება მიექცევა ფურცლოვანი ნაგლისი განვითარებას. ფურცლოვანი ნაგლი უნივერსალური ნახევარპროდუქტია, რომელიც საჭიროა მიღების, თხელ-ფურცლის, ლუნვილ-მოყვანილი პროფილების, თუნუქისა და ნაგლისის სხვა სახეობის დასამზადებლად. ფურცლოვანი ნაგლინზე ძალიან დიდი მოთხოვნილებაა. ის სჭირდება ავტომშენებლებს, ვაგონმშენებლებს, ლოკომოტივმშენებლებს, სამრეწველო ობიექტების მშენებლებს, თვითმფრინავებისა და რაკეტული ტექნიკის მშენებლებს.

ფურცლოვანი ფოლადის საგლიხვ სამჭროებში უახლოეს მომავალში იმუშავებს ერთი ან რამდენიმე პარალელური საწარმოო ნაკადური ხაზები, რომლებიც უზრუნველყოფენ ლითონის მაღალი სიჩქარით გლიხვას; უწყვეტ გლიხვისათან იქნება შეთავსებული ფურცლოვანი ლითონის დამუშავების სხვა საჭირო ოპერაციები.

ასეთი კომბინირებული გლიხვის ნაკადური ხაზების განხორციელებისათვის საჭიროა წინასწარ გადაწყვეტილი იქნეს ზოგიერთი სამეცნიერო-ტექნიკური საკითხი. საჭმე იმამია, რომ გლიხვისათვის საჭირო ცალკეულ აგრეგატებს, რომლებიც საგლიხვ სამჭროებშია დამონტაჟებული, ახასიათებს ლითონის დამუშავების სხვადასხვა სიჩქარე. მაგალითად, ამოსაქმელი აგრეგატის ხაზებზე ეს სიჩქარე შეადგენს არაუმეტეს 5 მ/წმ-ში, ლითონის დაფარვის (მოლითონების) ხაზებზე — არაუმეტეს 5-12 მ/წმ-ში, თანამედროვე 5-გალიან დგანებში კი გლიხვის სიჩქარე უდრის 35 მ/წმ-ში და ა. შ. ამიტომ საჭიროა წინასწარ დამუშავდეს ცალკეული ოპერაციებისა და აგრეგატების უწყვეტი მუშაობაზე გადაყვანისათვის საჭირო საკითხები. მაგალითად, ულტრაბგერითი ან სხვა მეთოდის გამოყენებით დაქარაღეს ამოჭმის ტექნოლოგიური პროცესი, ათვისებული უნდა იქნეს თხელი ფურცლოვანის პირაპირი შედუღება მათი უწყვეტი გლიხვის განხორციელებლად; საჭიროა დინერგოს საგლიხვი დგანების ავტომატური აწყობა-მომართვა, უნდა გადაწყდეს

ლითონის თერმოდამუშავება ნაქადში ინდუსტრიული გახურების გამოყენებით და ა. შ.


სახალხო მეურნეობისათვის უდიდესი ზიანი მოაქვს ლითონის კოროზიას. განსაკუთრებით ჩქარა გამოდის წყლიდან ლითონის ნაკეთობა ქიმიურ წარმოებაში, იქ, სადაც ლითონზე მოქმედებს მჟავები, ტუტეები და სხვა აგრესიული ნივთიერებანი. ამას გარდა, აპარატებში წლითი წლობით იზრდება ტემპერატურა და წნევები. ამიტომ საჭიროა გაუმჯობესდეს ფოლადის სიმტკიცე, ანტიკოროზიული მდგრადობა. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა მიმდინარეობს და საგრძნობლად გაფართოვდება დაუქანავი, სიმკვამდგარი და მხურვალემტკიცე ფოლადების გამოშვება. ამ ლითონების სიუხვეზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის დიდი ქიმიის, თვითმფრინავ- და გემთშენებლობის სწრაფი განვითარება.

ცნობილია, რომ კოროზიისაგან დასაცავად მეტ შემთხვევაში საჭიროა ჩვეულებრივი ნახშირბადოვანი ფოლადის ანტიკოროზიული თვისების მქონე ნივთიერების თხელი შრით დაფარვა. ასეთი წესით მიღებული ბიშტალები მეტად საჭიროა ჩვენი მრეწველობისათვის. ამ მიზნით განზრახულია უმოკლეს ვადაში მოეწყოს გლინვის პროცესში საჭირო ლითონების ანტიკოროზიული ან დეკორატიული დაფარვა, რისთვისაც ფართოდ იქნება გამოყენებული მოკალვა, მოთუთიება, მოალუმინება, მომინაქრება, გალაქვა, პლასტიკური მასებით დაფარვა და სხვ. დაცვის ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, დიდი რაოდენობით შევამციროთ ლითონის ხარჯი მათი არსებობის გახანგრძლივებით, მეორე მხრივ, დავზოგოთ დღეიწიკტური უქანავი ფოლადები და ფეროშენადნობები.


საბჭოთა ადამიანების უმაღალითო მიღწევებს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ალტაცებაში მოჰყავს მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა. ჩვენი რეაქტიული თვითმფრინავი დაფრინავს ზღვარზე უფრო მეტი სიჩქარით. კოსმოსური რაკეტა, მიაპზს რა ატმოსფერულ სივრცეს, მიჰქრის ზღის სისტემის პლანეტებისაკენ, აღამაინ გაჰყავს ჯერ კიდევ მისთვის უცნო სამყაროში. კოსმოსური სივრცის დაპყრობა მოითხოვს დიდ სიჩქარეს, სიჩქარისათვის ბრძოლა თანამედროვე ტექნიკის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. სიჩქარეების ზრდასთან ერთად იზრდება სხვა პარამეტრებიც, როგორცაა: ტემპერატურა, წნევა, სიმძლავრის კონცენტრაცია დანადგარში და სხვ. ერთი სიტყვით, რაკეტული ტექნიკის, ატომური ენერგიის, ელექტრონიკის, აირტურბინების და თანამედროვე ქიმიის უჩვეულო განვითარება მოითხოვდა სულ ახალ, ჯერ არანაშულო ფიზიკური თვისებების ლითონებისა და შენადნობების შექმნას, რომლებიც უნდა უძლებდეს ზემოდალი წნევებისა და ტემპერატურის სწორი და ღრმა ცვლილებებს. ამ პარამეტრების გარდა, ლითონი უნდა იყოს მდგრადი და უძლებდეს კოროზიას, აგრესიულ გარემოს და არ უნდა

იკვლიდეს თვისებებს ატომგულის დაშლის პრეფერენციის შემოსხევებით. თუ დღემდე მეტალურგები სწავლობდნენ და კობალტის საფუძველზე დიდი რაოდენობით უშვებენ მრავალნარი მაღალხარისხოვან ფოლადებს, მათ შორის მხურვალემტკიცე ფოლადებსა და შენადნობებს, ახლა ეს ფოლადები ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე ტექნიკის ყველა მოთხოვნას ლითონზე. მაგალითად, ასეთი ფოლადები 900-1000° ტემპერატურაზე უფრო მეტად გახურების შემთხვევაში სწრაფად კარგავს სიმტკიცეს.

ლითონებზე უჩვეულო მოთხოვნებიდან დაკმაყოფილება მიღწეულ იქნა მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა ლითონებისა და შენადნობების თვისებების ღრმა



რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. მილსაგლინავი საამქროს მიღების საქონტროლო და სწორების უბანი



რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. მთლიანად ავტომატიზებული მილსაგლინავი დგანი „400“

შეცნობა თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძველზე.

უკანასკნელ დროს დიდი ყურადღება ექცევა და საფუძველი ჩაეყარა ფოლადებისა და შენადნობების ახალ ტექნოლოგიურ პროცესს. შეიქმნა ძნელდნობადი ლითონების — ქრომის, მოლიბდენის, ტიტანის, ნიობიუმის, ვოლფრამის, ტანტალის, ზერკონიუმის მეტალურგია და შესაძლებელი გახდა ადრე ცნობილი ლითონებისა და შენადნობების თვისებების ძირფესვიანად შეცვლა ახალი ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენების საფუძველზე.


მსურველმტკიცე და სხვა სპეციალური ფოლადებისა და შენადნობების წარმოებაში სულ უფრო ფართოდ იყენებენ იშვიათ ელემენტებს. მათი დამატება დნობის პროცესში შენადნობებს აძლევს მთელ რიგ იშვიათ, ძვირფას თვისებებს. მაგალითად, შედაგებით მცირე რაოდენობის ბორის მიმატებით ლითონს მკვეთრად ეზრდება სითბური ნეიტრონების შთანთქმის უნარი. გამოთვლითი მანქანების ნაწილების დასამზადებლად საჭიროა შენადნობები, რომელთაც უნდა ახასიათებდეს არაჩვეულებრივად მაღალი მაგნიტური შეღწევადობა. მაღალი კლასის ზელსაწყობების სისუსტე, რომლითაც იზომება ტემპერატურა, წნევა, სითხის ან აირის ზარცვა, ძირითადად დამოკიდებულია დრეკადი, გრძნობიერი ელემენტების — ემპირანების, სილიციონების, სხვადასხვა ზამბარების და დრეკადი ძაფების — ხარისხზე. ეს ელემენტები უნდა იყოს ამავე დროს ძალიან მტკიცე და დრეკადი, კოროზიისადმი მდლგი და დამაგნიტების გამძლე. თანამედროვე ტექნიკაში ფართოდ იხმარება ულტრაბეგრითი რხევები. ჩვეულებრივად ასეთი აპარატების დასამზადებლად იხმარება ლითონი, რომელსაც აქვს არაჩვეულებრივი თვისება — დამაგნიტებით იგი ფართოდდება მხოლოდ სიგნალის მიმართულებით. მეტალურგების წინაშე დგას ამოცანა დამზადდეს ამგვარი თვისების გაუმჯობესებული ახალი შენადნობები დიდი სიმძლავრის ულტრაბეგრითი რხევის წყაროს შესაქმნელად.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები ახლა უკვე ფართოდ ინერგება ჩვეს მეტალურგიულ ქარხნებში. ამ მხრივ აღსანიშნავია ის დიდი მუშაობა მილსაგლინავი დანაი „400“-ის კომპლექსური ავტომატიზაციისათვის, რაც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა შეასრულა. აქ, მილსაგლინავ სამქროში უნაკერო ფო-

ლადის მილების დამზადების მთელ ტექნოლოგიურ ნაკადზე, რომლის სიგრძე 1000 მ-ს აღემატება, მუშაობის პროცესი მთლიანად მექანიზებული და ავტომატიზებულია. ამავე ქარხანაში პირველად მილსაგლინავი წარმოების მსოფლიო პრაქტიკაში შექმნილია მექანიზმი ავტომატ-დანავსე სამართულების ავტომატურად შეცვლისათვის. მოკლე დროში განზრახულია აქვე მილსაგლინავი სამქროს კომპლექსური ავტომატიზაცია. ასეთივე სამუშაოები იქნება ჩატარებული რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სხვა საგლინავი სამქროების მთლიანი მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის მიზნით.

ახლა მეტალურგების წინაშე მტად სერიოზული ამოცანები დგას. ერთი მხრივ, საჭიროა ლითონების წარმოების ტექნოლოგიის ისეთ დონემდე აყვანა, რომელიც არა მარტო დააკმაყოფილებს მომხმარებლის ყოველგვარ მოთხოვნებს ლითონებზე, არამედ შექმნის ისეთი ზემოდალი სიმტკიცისა და სხვა მაღალი პარამეტრების ფოლადები... „სასურველები“ შენადნობებს, რომლებიც საშუალებას მისცემს მომავალი ტექნიკის კონსტრუქტორებსა და მეცნიერებს პრინციპულად ახალი სიმძლევები დაიპყრონ. მეორე მხრივ, კომუნისმის მაგერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის საჭიროა დიდი რაოდენობით ლითონი, მისი სიუხვე. ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა მეტალურგიული მრეწველობა ორი ათეული წლის განმავლობაში თანმიმდევრულად უნდა გააღვიწიოს ტექნიკურად ყველაზე სრულყოფილ და მძლავრ მრეწველობად მსოფლიოში. მეტალურგიული მრეწველობის ასეთი ინტენსიური განვითარებისათვის საჭირო იქნება პრინციპულად ახალი, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა და მათ საფუძველზე ქარხნების ტექნიკურად სრულყოფილი მძლავრი მოწყობილობით აღჭურვა. მასობრივი მასშტაბით განხორციელება წარმოების კომპლექსური ავტომატიზაცია, სულ უფრო მეტი აგრეგატები იქნება ავტომატიზებული, შემდეგში კი შეიქმნება ავტომატური სამქროები და საწარმოები. ამ მიმართულებით წარმართეს ახლა თავის მუშაობა საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებმა, სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა და მეტალურგიული ქარხნების მოწინავე ადამიანებმა. მეტალურგების თვალდებულებული მუშაობის შედეგად შეიქმნება მეტალურგიული ქარხანა-ავტომატ — ეს იქნება კომუნისმის ქარხანა.





ურერეთი

მსხვილი ახალგაზრდობა

ცივი გლინის სამაქრო ღუნის მეტალურგიულ კომბინატში (ქ. ღუნაივაროში) ერთი მსხვილი მშენებლობა უნგრეთის მეორე სოფელში. მისი მშენებლობის დამთავრებითა და ექსპლუატაციაში გადამცემით ამ სამრეწველო კომბინატს ექნება დაბრუნებული სამრეწველო ცილი. ამჟამად უკვე აღმართულია სამაქროს შენილის ლითონის კონსტრუქციის სამი მეორედი. სამაქროს ფართობი 70 ათას კვ. მეტრია. მსგავსი საქარხნო სამაქრო, აგებული ლითონკონსტრუქციისაგან, უნგრეთს ჯერ არ ჰქონია. სამაქროს მშენებლობის დამთავრებამდე შემონატარებმა დაიწყო მონაწილეობა აწ. ყოვლა. მონაწილეობა ქარხნისათვის მათ მიიღეს ჩვენი ქვეყნიდან.

გერმანია

მინის სიმტკიცის გაზრდა ლუნავზე

მინის მექანიკური თვისება მნიშვნელოვნად უმჯობესდება, თუ მას გავასურებთ 200°-მდე და შემდეგ სწრაფად ჩავეშვებით სილიკონის ზეთით სავსე აბაზანში. შემდეგ ტემპერატურა თანდათანობით, ერთნაირი ინტერვალით, მცირდება 20-20°-ით.

დასასრულ, მინა განიცდის თერმულ დამუშავებას. მინის სიმტკიცე ლუნავზე, დამუშავებით ამგვარი ხერხით, იზრდება დაახლოებით 11-ჯერ (55 კგ/კვ. მ-მდე).

როგორ „იზრდება“ ქვები

ხალხური გამოთქმა ამბობს: „ქვებიც იზრდება“. რას ნიშნავს ეს? ყველასათვის ზომიერია, რომ ქვები იზრდებიან არ შეუძლია, თუ არ ჩავთვლით სტადამიტებსა და სტალოკიტებს გამოკვებულებში ან კირქვებში საგან ტუფის წარმოქმნას.

მაგრამ ბევრ რაიონში ყოველ გაზაფხულზე ზნის დროს საიდგანდაც ჩნდება ქვები,

რომლებიც ხაშკო საზრუნავს უქმნის მიწათმოქმედს. გასულ წელს თუშეთა უყვლა ქვა გულქასშით იყო მოსაზრებული, მაგრამ თითქმის ისინი ხელახლა იზრდებიან მიწიდან. უცნაურია, მაგრამ პრაქტიკულად ეს ასეა. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ქვების გამოჩენა უშუალოდ დაკავშირებულია სიცოცხლთან. უნივერსალური უნივერსი, როცა ნიადაგი ძლიერ იყინება, მიწაში ქვებეჭვე წარმოიქმნება თავისებური ყინულის ლინზები, რომლებიც თანდათანობით (თანდათანობით ყოველ წელს) ამოადგებიან ქვებს ზედათ. ამრიგად, ყოველ გაზაფხულზე ახალი ქვები გამოჩნდება ზედაპირზე.

რაპპოლის ჰიდროკვანძი

მარცხის მთებში მდინარე რაპპოლზე მოაჯრდება დიდი ჰიდროკვანძის მშენებლობა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლებმა აღმართეს მთელს გერმანიაში ყველაზე მაღალი და ერთ-ერთი უდიდესი კაშხალი ევროპაში. კაშხალმა უკვე წარმოქმნა წყალსაცავი, რომლის ტევადობა 100 მლნ-ზე მეტი კუბური მ წყალი.

რაპპოლის ჰიდროკვანძი კაპიტალისტური ევროპის ძველი ჰიდროტექნიკური ნაგებობისაგან განსხვავდება არა იმდენად თავისი სიდიდით, რამდენადაც კომპლექსურობითა და ყოველმხრივობით, რომლითაც სიცოცხლეს მთებში ქვეყნის ინტერესებმა გადაწყვიტეს მრავალი პრობლემა: ელექტროენერგიის წარმოება და სასმელი წყლის მომარაგება, მელიორაცია და მოხერხებული კავშირის შექმნა დრმა ხეობის სანაპიროებს შორის.

ჩინეთი

ჩინური რადიომიმდებობი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რადიომრეწველობა რადიომიმდებობის 180 სახეობაზე მეტს უშვებს. ამჟამად რადიოქარხნები ასტრობის ქვეყნის ბევრ პროვინციაში და ავტონომიურ რაიონში. საქმალ მსხვილი საწარმოებია შექმნილი ნანკინში, შანხაიში და ტიანინში. ნანკინი სახალხო ხელისუფლების წლებში ჩინეთის ერთ-ერთი მსხვილი რადიომრეწველობის ცენტრია გახდა. მისი პროდუქცია გაქვთ 30 ქვეყანაში.

შანხაის რადიოქარხანა უშვებს 5- და 7-მილიან კამოდებს. მეორე უნივერსიტეტის განვალობაში აქ ათვისებს მიმდებრის წარმოება ავტონომიურებისათვის, აგრეთვე უშვებს 16-მილიან მიმდებრ, ნახევარგამტარიან მიმდებრს და სხვ.

1980 წელს ჩინეთის რადიომრეწველობა გამოუშვა ნახევარ მლნ-ზე მეტი რადიომიმდებობა, ნაცვლად 890 ათასისა 1957 წელს (პირველი სოფლისთვის უკანასკნელ წელს). 1958 წლიდან ჩინეთი უშვებს ტელევიზორებს.

პოლონეთი

ქვანახშირის მოკოვების მაშინისაგან

წილს პოლონეთის შახტებში მუშაობას დაიწყო 200 ახალი კომბაინი. მათი მშენებლობა ქვანახშირის მოკოვება გაიზარდა 40,5 მლნ ტონით, ე. ი. 38,5%-ით. მნიშვნელოვანდ შექანიწირდება ნახშირის დატვირთვა.

პოლონეთში დიდი უარაღებია ექცევა ქვანახშირის ჰიდრომექანიკურ მოკოვებას და ტრანსპორტირებას, აგრეთვე ლენტური ტრანსპორტირების დაწერვას. შახტ „ბელშოვიცეში“ 48 ავტომატიზებული ლენტური ტრანსპორტირების დაყენება წილწილში 2,2 მლნ ზლოტის ეკონომიას მისცემს.

„ბელშოვიცის“ მაგალითს მიყვებიან ქვეყნის სხვა შახტებიც. მარტა ზახესკის ნახშირის გაერთიანებაში უკვე დადგენილია 125 ავტომატიზებული ლენტური ტრანსპორტიორი.

საბჭოთაო ავტომობილები


პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ექსპლუატაციაში არსებული ავტომობილების უმრავლესობა სამშულო წარმოებისაა. საკიროა აღინიშნოს, რომ პირველი პოლონური საბჭოთაო ავტომობილები გამოშვებულ იქნა 1949 წელს. რა თქმა უნდა, ახალგაზ-



ნახ. 1

რად საავტომობილო მრეწველობას არ შეეძლო უტყდა გამოშვა სხვადასხვა ტიპის ავტომობილები. არც ისაა განაკვირვებელი, რომ რაღაც წლების განმავლობაში უშვებდნენ მხოლოდ უმეტესად უნივერსალურ და დი-

ად აუცილებელ მ- და ნ-ტონიან და მოკვი-
ანებით 4-ტონიან „სტარის“ მარკის (სტარ-
ხოციის სატვირთო ავტომობილების ქარ-
ხანა) სატვირთო ავტომობილებს. რამდენიმე
წლის განმავლობაში პოლონეთში ლიუბლი-



ნახ. 2

ნის სატვირთო ავტომობილების ქარხანა აწ-
ყობდა საბჭოთა ავტომობილის ГАЗ-51-ს.

ამჟამად პოლონეთის საავტომობილო
მრეწველობა უშვებს შემდეგი ტიპის სატ-
ვირთო ავტომობილებს. მათ შორისაა სატ-
ვირთო ავტომობილები ფრად მცირე
ტვირთაწონით (500-900 კგ). მანქანის
ძრავა და აგრეთვე აღებულია მსუბუქი
ავტომობილიდან „ვარშავა“.

წარმოებაში არსებობს ამ ავტომობილე-
ბის სამი ძირითადი მოდელი: 500 კგ ტვირთ-
აწწონის მქონე „პიკე-უპ“ (ნახევარსატ-
ვირთო ავტომობილი—პიკაპი) და ძარბათი
და ბრუნვის ზღილი. იგი განკუთვნილია
მცირე ტვირთების გადასაზიდად აგრეთვე
გამოიყენება სატვირთო ტაქსის სახით; მეორე
რეა 800 კგ ტვირთაწწონის ავტომობილი
„ნისა“ (ნახ. 1) ფურცლის ძარბათი, რომელ-
საც უშვებს ქ. ნისას ავტომობილის ძარბე-
ბის ქარხანა. ამ ავტომობილზე დაყენე-
ულია ძრავა „ვარშავა“. მანქანა აქვს ფარით,
ტეკადი, მთლიანად დახურული ძარბა, რომ-
ელიც გადასაჩან ტვირთებს იცავს ტბი-
ფრული ზემოქმედების, მტვირთის და ტალა-
ხისაგან. ეს ავტომობილი, რომელსაც ფარ-
ით მოხმარება აქვს სავარკიშ საკმეში, გან-
საკუთრებით სასურსათო საქონლის გადა-
ზიდვის დროს, გამოიყენება აგრეთვე ფოს-
ტის, ურუნალ-გაუთების და ა. შ. გადასა-
ტანად. ნისას ძარბების ქარხანა ამ მანქანის
ბაზაზე, გარდა ამისა, უშვებს საინტერეს-
ულ ავტომობილებსა და მცირეავტომობილებს.


ამ მოდელის მესამე მანქანა ავტომობი-
ლი „ფუჟა“, 900 კგ ტვირთაწწონით, რომელ-
საც უშვებს ლიუბლინის სატვირთო ავტო-
მობილების ქარხანა. ესაა უნივერსალური
დანერწელების ფრად მოხერხებული პატარა
სატვირთო ავტომობილის მოდელი.

საშუალო ტვირთაწწონის სატვირთო ავ-
ტომობილებს მიეკუთვნება „სტარის“ მარ-
კის მანქანები, რომლებიც გამოდის რამდე-
ნიმე ვარიანტად 4 ტ ტვირთაწწონის მქონე
სატვირთო ავტომობილი „სტარ-25“ უნი-
ვერსალური ძარბათი და სატვირთო ავტო-
მობილი „სტარ-25-4“ წყარბელებული ძარბათი,
რომელიც განკუთვნილია ზომაგანაკმე-
ტირთების გადასაზიდად. გარდა ამ ძარბა-
თადი მოდელისა, გამოდის ავტომობილი
„სტარ“ თვითსადილე ძარბათი (ნახ. 2), აგ-
რეთვე 8 ტ ტვირთაწწონის მქონე ნახევარ-
მისამბილიანი უნივერსალური (ნახ. 3).
აქამდე ამ ავტომობილებზე იდებოდა ბენ-
ზინით მომუშავე ძრავები. მაგრამ უკვე და-
წესეს წარმოება დიზელის ძრავებისა, რომ-
ლებიც უახლოეს ხანებში დაყენებული იქ-
ნება „სისის“ მარკის ავტომობილებზე
შემდეგ სატვირთო ავტომობილებზე
„სტარ“.

გასულ წელს ქ. ელინის ავტომობილის
ძარბების ქარხანაში გამოშვება 8 ტ ტვირთაწ-
წონის მქონე სატვირთო ავტომობილების
„ზუბრ“ პირველი პარტია დიზელის ძრავა-
თი, რომელიც შემდეგ გამოვა რამდენიმე ვა-
რიანტად.

სატვირთო ავტომობილების გარდა ამ ძი-
რითადი მოდელისა, სერიალურ წარმოებით
გამოდის სპეციალური ავტომობილებისა და
სპეციალური ავტომობილის მქონე (სახანძრო,
ავტომანქანები, ავტოსატრენები და ა. შ.)
ავტომობილების რამდენიმე მოდელი.

უკანასკნელი წლები აღინიშნება პოლონე-
თის საავტომობილო მრეწველობის პროდუ-
ქტის მნიშვნელოვანი ზრდით. სატვირთო
ავტომობილების წარმოების ზრდასთან ერ-
თად გადიდა აგრეთვე ავტომობილების წარ-
მოებაც, ამჟამად გამოდის მცირეავტომობი-
ლებიც.



ნახ. 3

ბი (რეადავლიანი), ავტომობილი „სან“ მზიდი
ძარბათი ორ ვარიანტად, საქალაქო და საგა-
რეუბნო მომოსვლისათვის და აგრეთვე
მრავალადგილიანი ავტომობილი „ელინი“ და
ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბ-
ლიკის ლიქენითი „იპაროსა“.

გათვალისწინებულია მეტად მცირე
ტვირთაწწონის ავტომობილების გამოშვება

„სიბრინის“ მარკის მცირეავტომობილიანი ავტო-
მობილების ბაზაზე, აგრეთვე სატვირთო
ავტომობილები უნივერსალური სატვირთო
„ვარშავა“ ძრავით.

პოლიტიკალასტი ავტომობი- ლის კონსტრუქცია

ლითონების კონსტრუქციისაგან დასაცავად
ქვემო-სილენოების ქარხანა (პოლონეთის სა-
ხალხო რესპუბლიკა) უშვებს პოლიტიკო-
პლასტის ამ სინთეზური მასალით ფარავნ
სხვადასხვა ნაგებობის ლითონურ ზედაპირს.
ანტიკოროზული საფარი წყალმუდუნე-
ვია, არ რეაგირებს ზეთების, ტუბების, მუ-
ვიების მოქმედებაზე. იგი პლასტიკურია და
არ სკდება ტექსტოლოგიის დროს.

ჩეხოსლოვაკია

რამდენიმე გამოსახულების გამაქმნისამბილი

ჩეხოსლოვაკიის ქარხანა „ხიზანაში“ (სე-
რენიც პადრუბოცის მაზოლბად) დამზა-
დებულია რენტგენული გამოსახულების გა-
მაქმნელობის საცდელი ნიმუშები, რომ-
ლებიც საშუალებას იძლევა 8-ჯერ შემოი-
დეს სივების ინტენსიურობა ავამუფთა
გაშუქების დროს.

ნავთობსადენი „დრუშა“

ცნობილია, რომ ამჟამად იდება ნავთობ-
სადენი „დრუშა“, რომლითაც ნავთობი
საბჭოთა კავშირიდან მიწოდება მიულ რიგ
მომხმ კონტაინერებზე ტვირთებს. უოველ
ქვეყანა თავის ტერიტორიაზე თვითონ აგებს
ნავთობსადენის თავის უბანს. ჩეხოსლოვა-
კიის უბნის მშენებლობებმა დიდი საწარ-
მოო გამარჯვება მოიპოვეს. დამოუკიდებ ნა-
ვთობსადენის ტრასის სამი მეოთხედის, ე. ი.
310 კმ-ის გაყვანა. უახლოეს ხანებში დამ-
თავდება დარჩენილი ნაწილის მშენებლო-
ბა.

ტროლეიბუსის 50 წელი შეშვასულდა

პირველი ტროლეიბუსის ხაზი ევროპაში
აგებული ყოფილა 1911 წელს სამხრეთ ჩე-
ხიის ქალაქ ჩეხე ბუდოიევიცეში. ამჟამად
ამ ქალაქში, სადაც 67 ათასი მცხოვრებია,
ტროლეიბუსებისა და ავტომობილების ხაზის
სიგრძე 38 კმ-ს შეადგენს, ხოლო წლის გან-
მავლობაში გადაყვანილ მგზავრთა რაოდე-
ნობა — 28 მლნ ადამიანს.

ფიჭვნეღუბი სასოთმწიფნებო

ინჟინერი ლ. გველსინი

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებენ ჩვენი ხალხის საყოფაცხოვრებო პირობების მაქსიმალურ გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ამოცანებს.

კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა, რომელიც ერთსულოვნად მიიღო XXII ყრილობამ, წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტების აქტიურობის მეცნიერულად დასაბუთებულ კონკრეტულ გეგმას.

პარტიის ახალ პროგრამაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ყველა ოჯახის კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილების საკითხის გადაჭრას. ამიტომ დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანები ისახება ჩვენი ქვეყნის მრავალძლიოხიანი მშენებლების წინაშე. ყველა მშრომელთან ერთად, მათაც დიდი წვლილი უნდა შეიტანოს კომუნისტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში. ახალი პროგრამა გახსნაღვრავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კაპიტალური მშენებლობის საქმეში სამშენებლო ინდუსტრიის დახერგვას.

ჩვენს მშენებლებს დიდი მიღწევები აქვთ მშენებლობის მექანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის საქმეში. შესამჩნევად გაიზარდა სამშენებლო ორგანიზაციების მექანიზაციის პარკი და მძიმე, შრომატევადი სამუშაოების მექანიზებული წესით წარმოება; ძველებზე დეზაბილიტირებულ სულ მეტ და მეტ ქარხნული წესით შესრულებულ მზა ელემენტებს.

